




ხაშურის მოახბა



№28(401)

31 ივლისი, ორშაბათი,

2023 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

24 ივლისს, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი უძღვებოდა.

სხდომამ მხარი დაუჭირა პროექტს „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

პროექტი მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა დავით კვიციანი წარმოადგინა.

პროექტის მიღების მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურულ ერთეულების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება, თანამშრომელთა პასუხისმგებლობისა და კვალიფიკაციის ზრდა.



ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის გამართულად მუშაობა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სერვისების მიწოდების ხარისხს

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, მუნიციპალიტეტის ელექტრონული სისტემების კვლევის მიმართულებით გამართულ შეხვედრას, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი-დავით კვიციანი და საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი ირმა ნოზაძე ჩადუნელი ესწრებოდნენ.

შეხვედრა ეძღვნებოდა მუნიციპალიტეტის მოქმედი ელექტრონული სისტემის მუშაობას და მის ეფექტურობას. დაისახა სამომავლო გეგმებიც.

კვლევის მიმართულების ექსპერტი-ნინო ბიგვაძა, ასევე ესაუბრა მუნიციპალიტეტის მერიის სპეციალისტებს, ადმინისტრაციულ ერთეულებში, მერის წარმომადგენლებს და ა(ა)იპ ორგანიზაციის თანამშრომლებს.

შეხვედრისას გამოიკვეთა მოსაზრება, რომ მუნიციპალიტეტის ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის გამართულად მუშაობა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სერვისების მიწოდების ხარისხს.



ტრენინგი გენდერულ საკითხებზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, ქალთა საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით, გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის ტრენინგი გაიმართა.

შეხვედრას ესწრებოდნენ, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი და ა(ა)იპ „ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორი ლელა გელაშვილი.

სემინარს ფასილიტაციას უწევდა ექსპერტი გენდერის საკითხებში- მამუკა გაჩეჩილაძე.

ტრენინგის ფარგლებში, ბავშვების თანამშრომლებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ინფორმაცია მიიღეს იმ სოციალური ნორმებისა და სტერეოტიპების შესახებ, რომლებიც ძალადობას აპროვოცირებს, ასევე, ცნობიერება აიმაღლეს ამ მიმართულებით არსებული ყველა სერვისის შესახებ.

შეხვედრას ინტერაქციული ხასიათი ჰქონდა, შესაბამისად, მონაწილეებმა, დამსწრეებს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს.

თეორიულ ნაწილთან ერთად, ტრენინგი ინდივიდუალურ და გუნდურ პრაქტიკულ სავარჯიშოებსაც მოიცავდა.

დასკვნით ნაწილში გაიმართა დისკუსია.



სოფელ ნაცარგორაში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა მიმდინარეობს

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ შაყულაშვილი, რწმუნებულის პირველ მოადგილესთან სიმონ გულედანთან და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერთან თენგიზ ჩიტიაშვილთან ერთად, სოფელ ნაცარგორაში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებს გაეცნო.

პროექტი გარდამავალია, რომლის ბიუჯეტიც 1,5 მილიონზე მეტ ლარს შეადგენს. სამუშაოების ფარგლებში დაიგება 3 კმ-მდე გზა, გარდა ამისა მოეწყობა სანიაღვრე სისტემა. პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება.



- იუბილე -

მურად მთვარელიძე - რაიონის

კულტურული ცხოვრების მესაჭე-მემატიანე

მას, როგორც პიროვნებას, როგორც მწერალს, როგორც გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, გაცნობიერებული აქვს თავისი პასუხისმგებლობა ერის წინაშე და, ასე, ნელ-ნელა, ეტაპობრივად, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სიკეთის მარცვლებად იფანტებიან მის მიერ, ქართული სიტყვიერების, კლასიკოსების მაღლითა და სამშობლოს სიყვარულით „მოწამლული“ ახალგაზრდები...

იგი დღემდე იმ წიაღში მოღვაწეობს, სადაც დაიბადა, სადაც სამშობლოს



ცნება გააცნობიერა, სადაც უყვართ, სჭირდებათ... მან მთელი თავისი შემოქმედებითი თუ მეცნიერული მოღვაწეობა გააზრებულად მიუძღვნა ჩვენი ქვეყნის, განსაკუთრებით ხაშურის რაიონის კულტურული ცხოვრების აღნიშვნა-პოპულარიზაციას, მის კეთილდღეობას. მისი ლექსები ავტორს ჰგავს, -სიღრმისეული, ადამიანებისა და ქვეყნის სიყვარულით გამთბარი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მურად მთვარელიძის ქვიშხეთისადმი დამოკიდებულება. მან არაერთი ნაწარმოები მიუძღვნა როგორც ქვიშხეთს, ასევე -დიმიტრი ყიფიანს, ჩვენი ერის სინდის-ნამუსსა და ღირსებას.

ქართველები თავს ცხოვრების ფონზე ძნელია განწყობის შენარჩუნება, მაგრამ, მშობლიური ხცისის შემდეგ, ქვიშხეთი მისთვის ის ადგილია, სადაც შეუძლია, ცა ქუდად ეპატარავოს და აღედამიწა -ქალამნად...

ორმოცზე მეტი წიგნის ავტორი თვლის, რომ ის ნაწარმოებები, რომელიც მას დიმიტრი ყიფიანმა და ქვიშხეთის კულტურულმა წარსულმა შთააგონა, განსაკუთრებულია იმ თვალსაზრისით, რომ შიგ არამარტო დიდი წმინდანის ცხოვრება და მოღვაწეობაა ასახული, არამედ მეცხრამეტე საუკუნის 20-იანი წლებიდან, დიმიტრი ყიფიანის სახლ-კარში განთავსებულ „ქართველ მწერალთა დასასვენებელ სახლში“, ჩვენი სასიქადულო მწერლების მიერ, ქვიშხეთში მიღებული ემოციური შთაბეჭდილებებია გადმოცემული.

„ქვიშხეთი-ქართველ მწერალთა სავანე“, „ყიფიანები“, „დიმიტრი ყიფიანი-ლიტერატორი“, „კაცი ხასიათისა-დიმიტრი ყიფიანი“, „ხაშურის რაიონი და ქართული მწერლობა“- ეს იმ წიგნების არასრული ჩამონათვალია, რომელიც სრულყოფილ წარმოდგენას უქმნის მკითხველს დიმიტრი ყიფიანზე; ქვიშხეთელ ყიფიანებზე და, ზოგადად, ქართლის ამ ულამაზესი სოფლის კულტურულ წარსულზე. აი, ერთ-ერთი ამონარიდი მისი წიგნიდან „ქვიშხეთი-ქართველ მწერალთა სავანე“ :

„ქვიშხეთი-საქართველოს ეს ერთი ულამაზესი და უძველესი სოფელი ქართველ კაცს კვლავაც მრავალგზის ჩააფიქრებს ბუნების მშვენიერებასა და ჩვენი ქვეყნის გარდასულ დღეებზე, ახალგაზრდობას კი კვლავაც მრავალგზის გაუღვიძებს ერისა და სამშობლოს სიყვარულის, მისი მოვლისა და პატრონობის გრძობას, რადგანაც სწორედ ხვალინდელმა დღემ უნდა წარმოაჩინოს ეს მარგალიტი ისე, როგორც მის წარსულსა და დიდ ისტორიას ეკადრება, როგორც ის წმინდა სულები გვასწავლიან და გვმოდღვრავენ, რომელთა დიდი საქმეები ამკობს არამარტო ამ კუთხეს, არამედ სრულიად საქართველოს.

ქვიშხეთი მომავალშიც აამღერებს მრავალ პოეტს და მის სილამაზეს კიდევ არაერთი ალტაცებული სტრიქონი მიუძღვნება, რადგან ის ანდამატი, რომლითაც იგი შემოქმედის სულს იზიდავს, ისეთივე მარადიულია, როგორც თავად უკვდავება“.

მურად მთვარელიძის ერთი წიგნის გარშემო „ტყვიის პრემია“

ეს ის წიგნია, რომელშიც საქართველოს საუკუნოვანი ტრადიციის არეკლილი.

ტრადიციის პასაჟთაგანი კი აფხაზეთის ომი.

მურად მთვარელიძეს პოეტისა და მკვლევარის სახელით იცნობს საზოგადოება, თუმცა, უკანასკნელ წლებში, მისი ავტორობით, ქართულმა ლიტერატურამ არაერთი საინტერესო პროზაული ნაწარმოები შეიძინა.

დღეს თქვენს ყურადღებას მხოლოდ ერთ წიგნზე შევაჩერებ; ეს გახლავთ მეტად საინტერესო ნაწარმოები „ტყვიის პრემია“, სადაც ავტორი გასული საუკუნის სხვადასხვა პერიოდის ტრაგიზმითა და სხვადასხვა მოვლენებს აცოცხლებს; ამით საშუალებას გვაძლევს, კიდევ ერთხელ დავფიქრდეთ,- თუ რამდენად შეიძლება იყოს დამოკიდებული ერთმანეთზე, რა კავშირშია სამი თაობის ადამიანთა ტრაგიკული ხვედრი და როგორ აისახება სულზე ტრავმული მეხსიერების შედეგები. ფაქტია, დროისა და სივრცის მონაცვლეობა ხელს არ უშლის ომის დამანგრეველ შედეგთა უცვლელობას.

მურად მთვარელიძის „ტყვიის პრემია“ არ გამხდარა კრიტიკოსთა განსჯისა და განხილვის საგანი, მაგრამ როგორც შემოქმედზე, პოეტზე, ბევრი ითქვა ლიტერატურულ სივრცეში. პოეტ ლია ჭილაძის თვალსაზრისით, გასაკვირიც კია, „უკანასკნელი წლების საქართველოს სულიერების დეფიციტში ისევ რომ ჩნდებიან შემოქმედნი, რომელთაც ჰყოფნიან შინაგანი ძალა და შთაგონება იმისათვის, რომ ქვეყნის ცხოვრების რთულ პერიოდში შექმნან ასეთი ღირებულებები, როგორც ეს შეძლო მწერალმა“.

პროფესორი შოთა ჟურდაძე მაღალ შეფასებას აძლევდა და მიესალმებოდა მურად მთვარელიძის თავისუფალ სვლებს პროზის ჟანრში.

პოსტსაბჭოთა ლიტერატურის წარმოდგენილი ნიმუში „ტყვიის პრემია“, „ისტორიულ ჭრილში ლიტერატურული რაკურსით“ გვაშთაბრუნებს მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან 21-ე საუკუნემდე. ნაწარმოები რთული, განუკითხაობით აღსავსე პერიოდის აღწერით იწყება. ავტორი წარსულში დაბრუნებით კიდევ ერთხელ გვახსენებს, თუ როგორი კვალი შეიძლება დააჩნოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებმა თაობებს. წარმოდგენილია სხვადასხვა სოციალური ფენის მიერ რეალური სიტუაციის გაანალიზების, პირადი ინტერესებისათვის გამოყენების რამდენიმე მაგალითი.

ეს პერიოდიც განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ქვეყნის ინტელიგენციისთვის. შეშინებული, საკუთარ ნაჭურში შეყუჟული ადამიანები ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. ამას განაპირობებდა როგორც ომების თანმდევი ქაოსი, ომებითვე გამოწვეული ეკონომიკური კრიზისიც - „მათი ადგილი იმ არეულ და ჭრელ საზოგადოებაში აღარსად იყო. ისინი, ვისაც ადრე სიტყვა ეთქმოდა, ახლა თავისთვის მიბინარებულიყვნენ და, შეურაცხყოფასა და ჯავრს გადაყოლილნი, თავს ობლად გრძობდნენ, მცირე ნაწილს კი მხარზე იარაღი გადაეკიდა და, „სამშობლოს სამსახურის“ სახელით, საკუთარი კეთილდღეობის გადარჩენისათვის იბრძოდა“.

მწერალი ქრონოლოგიური სიზუსტით აღწერს ეპოქის დამახასიათებელ მოვლენებს; იგრძნობა პერსონაჟებისადმი თანაგრძნობაც. ქვეყნის ბედ-იბლდით გამოწვეული ტკივილი და ტრავმული მეხსიერებით დაღდასმული ერის ტრაგიზმი იკითხება როგორც ტექსტში, ასევე ქვეტექსტში (მურად მთვარელიძის განსხვავებული ხელწერის შესახებ თვალსაზრისს გამოთქვამს მკვლევარი ე. ბუჯიაშვილი: „თემის აქტუალობა, თხრობის თავისებური მანერა, ლიტერატურული ენის სხვადასხვა შრეს რომ მოიცავს, კარგად შეკრული კომპოზიციური ქარგა, სამყაროს შეცნობის დაუოკებელი სურვილის მისტერია“.

90-იანი წლების განუკითხაობისას „მამულიშვილის“ ნიღბით სახედაფარული, თავზეხელაღებული „მებრძოლები“ სხვადასხვა დაჯგუფებას ქმნიან და „ქვეყნის კეთილდღეობისთვის“ თანხების გამოძალვას იწყებენ. მათი ერთ-ერთი სამიზნე წესიერი ახალგაზრდა - გიგა გოკიელია.

ნაწარმოების ერთ „შრეზე“ 20-იანი წლების საქართველო წარმოჩნდება - ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი - მენშევიკებისა და ბოლშევიკების დაპირისპირების უმძიმესი პერიოდი. თავადაზნაურობის, ინტელიგენციისა და სამღვდლოების შევიწროებისა და დარბევის მხვერპლი, აბაშიძის ლამაზი ასული, თბილისთან ახლოს, მიყრუებულ სოფელში ჯვარს სასურველ მამაკაცზე იწერს, მათი სიყვარულის ნაყოფი - თათული ჟორჯოლაძე ეკლინება ქვეყანას. თათული გიგას ლექტორია.

30-იანი წლების რეპრესიების მსხვერპლთა ისტორიას თათულის მშობლებთან მივყავართ. დარბევასა და განუკითხაობას ეწირება ინტელიგენციის უდიდესი ნაწილი. შიშით ძრწის დაბეჩავებული სიმართლე. ავტორი უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი, ყველასგან ზურმუქვეული გოგონას სახით ყველა „მტრისშვილად“ შერაცხული ადამიანისადმი თანაგრძნობას გამოხატავს. ზოგადად, მურად მთვარელიძის შემოქმედებაში ხშირად ვხვდებით დეჰუმანიზებული სივრცის მანკიერებებს.

მკვლევარი თამარ გოგოლაძე მურად მთვარელიძის „შემოქმედებით კალეიდოსკოპზე“ ახდენს დაკვირვებას და აღნიშნავს: „რაც კი დაუწერია ძველი, ახალი თუ უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, დაღდასმულია ავტორის ღრმა ერუდიციით, პოეტური ფანტაზიის ღრუბელში გატარებული და გასიგრძელებული. ძნელი იყო იმაზე წერა, ვინ შეეწირა რეპრესიების „დამოკლეს მახვილს.“ ვინაც სადაც, იქნებ, არაქართულ მიწაზე დალია სული და დაემგზავრა ახეულაყუჩიან თევზს, რომელსაც აუკრძალეს ლექსებით სუნთქვა, ფიზიკური სუნთქვა“. მურად მთვარელიძის ნაწარმოები განმსჭვალულია იმ ადამიანებისადმი თანაგრძნობით, რომლებიც ერთგულებისა და სიყვარულისთვის არა მარტო წარსულში, არამედ დღესაც და მომავალშიც მხოლოდ „ტყვიის პრემიებით“ (და)ჯილდოვდებიან.

ნაწარმოების ინსპირაცია სხვადასხვა ეპოქის ტრავმული მეხსიერების შედეგებია, აწმყომ რომ მემკვიდრეობით მიიღო. მასწავლებელი განსაცდელში არ დატოვს გოგონას და აგრძელებს მასთან მეცადინეობას. ავტორი ფრაუ ლიზის ქმედებაში ხედავს და აფასებს არა მარტო მისი სულის უფაქიზეს შრეებს, არამედ მიესალმება როგორც პედაგოგს, რომელიც საფრთხის ქვეშ აყენებს სოციალურ თუ ფიზიკურ ყოფას, არ ავიწყდება, რომ, უპირველესად, პედაგოგია - ქაოსური ყოფის პალიტრაზე მზის ფერი ჩნდება.

30-იანი წლების თემატიკა მეორე სამამულო ომის პლატფორმაზე ინაცვლებს. ეს იყო ომი, რომელიც ფაშისტურმა გერმანიამ წამოიწყო; მასში 61 ქვეყანა მონაწილეობდა.

ქვეყნის პოლიტიკურ სივრცეში ახალი ძვრებია. ჯერ კიდევ წარსულის ნაღმის ნამსხვრევებზე მდგარი ქვეყანა ახალმა ტალღამ შეატორტმანა. ომით

მარიამ ქურდაძე : - ამერიკაში ცხოვრებამ თავისუფლება მაპოვნინა

მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა (FLEX) - ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურის საქმეთა ბიუროს კულტურული გაცვლითი პროგრამაა, რომელიც საქართველოს საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების ფილიალის მიერ ხორციელდება და მას მხარს უჭერს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. პროგრამა ქართველ მონაწილეებს სთავაზობს შესაძლებლობას უფასოდ ისწავლონ ამერიკულ სკოლაში და იცხოვრონ ამერიკულ მასპინძელ ოჯახებში ერთი აკადემიური წლით. შერჩეულ მონაწილეებს აფინანსებს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. „FLEX“ პროგრამაში არაერთი ხაზურული მოსწავლე მონაწილეობდა და წარმატებითაც. ჩვენი გაზეთის მეშვეობით, სხვადასხვა დროს, აქტიურად გაცნობთ მათ შესახებ ინფორმაციას. ამჯერად ხაზურის



მესამე საჯარო სკოლის კურდამთავრებულ, წარმატებულ ახალგაზრდას მარიამ ქურდაძეს წარმოგიდგინებ. მარიამი, „FLEX“ პროგრამის ფარგლებში, 2022 წლის აგვისტოში გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში და 2022 წლის 4 მაისს დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში. მარიამი პროგრამის პირველი რეიტინგული მონაწილე გახდა. საკუთარი შესაძლებლობების განვითარების, თავისუფლების პოვნის და ამერიკული ცხოვრების 9 თვიანი გამოცდილების შესახებ მარიამი გვიამბობს:

მე ვარ მარიამ ქურდაძე, 17 წლის, დავამთავრე ხაზურის მე-3 და აშშ-ში ნებრასკას საჯარო სკოლა ორი დიპლომით. ვარ აქტიური მოხალისე, ჩართული ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხებში, ფემინიზმში. ვცდილობ მოხალისეობრივი საქმიანობით დავეხმარო საზოგადოებას. ვარ „ფლექს“ პროგრამის ფინალისტი, სწორედ ამ პროგრამამ მომიცა შესაძლებლობა მეტად განვითარებულიყავი და შემეწავლა ჩემი შესაძლებლობები.

- მარიამ, როგორ მიხვედი „ფლექს“ პროგრამის პირველ რეიტინგულ მონაწილედ დასახელებამდე?



- ორი თვის წინ დავბრუნდი საქართველოში, 9 თვე გავატარე ამერიკის შეერთებულ შტატებში, პროგრამა, მე-9, მე-11 კლასის ჩათვლით, მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს ჩაერთონ კონკურსში. ყოველწლიურად 5000 - დან 6000 - მდე მონაწილე ავსებს აპლიკაციებს და აქედან 70 შერჩევა ყოველწლიურად. დაახლოებით 30 ქვეყანაში ფუნქციონირებს პროგრამა. 30 ქვეყნის პროგრამის მონაწილე 600 მოსწავლედან თერთმეტეულში დაავსახელდი ორ თვის მონაწილედ

მარტში, მოულოდნელი იყო ეს წარმატება. პროგრამის კოორდინატორი ითხოვდა ჩვენს მიერ შესრულებულ აქტივობებს. საერთოდ, ძალიან რთული კლასები მექონდა, კოლეჯის დოქტორები მასწავლიდნენ. რთული სასწავლო სქემა იყო. ჩემს აქტივობებს შეადგენდა ტენისის თამაში, სკოლაში ვასწავლიდი მე-4 კლასელებს და ვაწვდიდი ჩემი ქვეყნის კულტურას.... ამერიკის საელჩომ და „ფლექს“ პროგრამამ გადაწყვიტა დავეხმარებინე თვის მოსწავლედ.

- მეტი გვიამბე სად ცხოვრობდი, სწავლობდი, რა აქტივობებით იყავი

დაკავებული ამერიკაში...

- ნებრასკას შტატში ვცხოვრობდი, ქალაქ ფრინგტონში, ძალიან, ძალიან პატარა ქალაქია, თუმცა, სკოლა იყო საკმაოდ დიდი, 1200 მოსწავლით, მე-9 დან მე-12 კლასების ჩათვლით, სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეებით შემდგარი. სკოლაში, ყოველთვის იგრძნობოდა კულტურული განსხვავება და ყველაზე მეტად მომწონდა ყველა კულტურისადმი მიმდებლობა. იქ ყველა ადამიანს თავისი იდენტობა გააჩნდა. სკოლაში 8 გაცვლითი სტუდენტი ვიყავით, შვედი, კოსოვოელი, მოლდაველი, ინდონეზიელი, იტალიელი და ფრანგი. ჩვენთან ახლოს ცხოვრობდა ქართველიც. გყვოდას დავემეგობრდი, მათთან ერთად ბევრ აქტივობაში ვიყავი ჩართული. გაცვლითი სტუდენტებს გვევალებოდა ყოველთვიურად დავხმარებოდით 100 საათი ამერიკულ მოქალაქეებს. მე შევასრულე 107 მოხალისეობრივი საათი.

- მარიამ, რას ითვალისწინებდა მოხალისეობა?

- მაგალითად, ყოველდღე სკოლაში ბავშვებს ვასწავლიდი 1 საათით, ვხმარებოდი მეზობლებს ნივთების ჩალაგებაში, ვთანამშრომლობდი პლასტმასის გადამამუშავებელ ორგანიზაციებთან. ვატარებდით პრეზენტაციებს ჩვენი ქვეყნის შესახებ. გაწვერიანებული ვიყავი მულტიკულტურულ კლუბში, რომლის ფარგლებშიც ყოველკვირულ შეხვედრებზე ვაწვდიდი ჩვენს კულტურას ამერიკულ მოსწავლეებს.

- რა შეგიძლია გვიამბო საქართველოს კულტურის მიმართ მათ მიმდებლობაზე?

- ყველას ძალიან აინტერესებდა... იქ ჩასული ამბობ, რომ „ჯორჯიდან“ ხარ და „ჯორჯიას“ ყოველთვის შტატად აღიქვამენ, არ ფიქრობენ, რომ ასეთი პატარა ქვეყანა ძალიან დიდი კულტურის და ღირებულების მატარებელია. მაგრამ ჩემი ჩასვლის შემდეგ, ჩემმა მეგობრებმა ისწავლეს ხაჭაპურის გამოცხობა და ძალიან მოსწონდათ. ისწავლეს ენაც, მარტივი რაღაცეები. ყველაზე მეტად, პატარა ბავშვებში, მეთხვალასელებში მოჰყვა დაინტერესება, ჩემი კლასში შესვლა „გამარჯობით“ იწყებოდა და კლასიდან გამოსვლა „ნახვამდით“ მთავრდებოდა... მათთან შევექმენი ქართული გარემო. ძალიან შეუყვარდათ საქართველო და ნატრობდნენ საქართველოში მოგზაურობას. გვაკეთებდნენ საქართველოს შესახებ კვლევა, რა დროსაც უფრო მეტი გაიგეს ჩვენი ქვეყნის შესახებ და მათაც გააკეთეს პროექტები ამ თემასთან დაკავშირებით.

- მარიამ, შენ იქ, 9 თვის განმავლობაში, იღებდი სასკოლო განათლებას. აღნიშნე კიდევ, რომ მიიღე ორი დიპლომი, მკითხველისათვის საინტერესო იქნება, იქაური განათლების სისტემის შესახებ რომ მოგვიყვას

- საერთოდ პროგრამის მონაწილე 70 მოსწავლიდან, დაახლოებით 10 - 15 იღებს ამერიკული სკოლის დიპლომს, ვინაიდან საელჩო არ აძლევს ნებას ორი დიპლომის მიღებისათვის. მე, ვინაიდან მიზნად დავისახე ორი დიპლომის მიღება, ქართული სკოლისა და ამერიკული სკოლისა, ამერიკულ სკოლასთან დიდი შეთანხმების დადება და პროცედურების გავლა მომიწია. პირველი, რაც იყო მათი პირობა,

უნდა ამელო კოლეჯის, ანუ განვითარებული კლასები და მათ უნდა შევჭიდებოდი, კლასებს, სადაც მასწავლიდნენ დოქტორები. ამერიკის ლიტერატურა, ისტორია, პოლიტიკა ანუ მათი კულტურის შესახებ რაც შეიძლება ბევრი უნდა მესწავლა. ამ გამოცდილების შემდეგ, მომცეს საშუალება ამელო ამერიკული სკოლის დიპლომი.



- მარიამ, საინტერესოა, ამერიკაში ცხოვრების, სწავლის გამოცდილებამ რა მოგცა? ჩვენ ხომ განსხვავებული კულტურები ვართ

და არა მარტო ეს. ამერიკა უდიდესი ქვეყანაა, საქართველო კი პატარა, განვითარების გზაზე მდგარი ქვეყანა. გამომდინარე აქედან, რა - გამოცდილება იყო შენთვის გაცვლითი 9 თვე?

- პირველ რიგში, ამერიკაში ცხოვრებამ მაპოვნინა თავისუფლება. ამერიკაში სწავლისას ავირჩიე კრიმინოლოგია და ადამიანის განვითარება. გარკვეული პერიოდულით დავდიოდით ჰოსპიტლებში და უშუალოდ ვეცნობოდით მათ სამუშაო პროცესს, ან კიდევ მივდიოდით უნივერსიტეტებში და, თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით, დეტალურად ვეცნობოდით სხვადასხვა საკითხებს. ჩვენც ვატარებდით კვლევებს. კრიმინოლოგიის კლასი არ მახსოვს, მაგრამ სხვა კლასები გრძელდებოდა საათნ-ნახევარი და ყოველდღე ცდებდნენ ვატარებდით, რომლის შედეგებითაც იწერებოდა შეფასებები. ყველაფერი არის პრაქტიკულ ცოდნაზე დამყარებული. თუ პრაქტიკაში მიღებულ ცოდნას არ გამოიყენებდი, შეფასება არ გექნებოდა მაღალი. ყოველდღე მექონდა ტესტირებები ამერიკულ ლიტერატურასა და პოლიტიკაში. ტესტები ტარდებოდა ონლაინ, რა დროსაც ვერ გადაიწერე, ტესტირებას აკონტროლებდნენ ორი დამკვირვებელი. აქედან გამომდინარე, ამერიკაში სწავლამ მომიცა თავისუფლების და მეტი განვითარების, საკუთარ თავზე მუშაობის გამოცდილება. სკოლის გარეთ უბრალოდ, ვერ ისწავლიდი, თუ იქვე, გაკვეთილზე არ გააკეთებდი მაქსიმუმს. განსხვავებული იყო მასწავლებელთა მხრიდან სწავლება. საათნახევრის განმავლობაში ჩართული იყვნენ მაქსიმალურად მოსწავლეთა მუშაობაში, გვიკვლევდნენ გზას - რა როგორ

(დასასრული მე-6 გვერდზე)

მარიამ ქურდიანი : - ამერიკაში ცხოვრებამ თავისუფლება მაპოვნინა

(დასასრული)

უნდა გავგვეკეთებინა და პასუხსაც ადექვატურად ითხოვდნენ...
- მარიამ, ამერიკაში ცხოვრების გამოცდილებამ შეცვალა შენი სამომავლო გეგმები? გავლენა მოახდინა მომავალი პროფესიის არჩევანზე?



- დიას. იურიდიულზე გადაწყვიტე ჩაბარება, სისხლის სამართალზე და კრიმინოლოგიის კლასი ერთ-ერთი იყო, რომელიც დამეხმარა ჩემი პროფესიის პოვნაში. უფრო მეტად გავანალიზე რომ ეს პროფესია მაინტერესებს.

ამერიკაში წასვლამ ძალიან ბევრი მასწავლა, პიროვნულად გამზარდა, მასწავლა ადამიანებთან კომუნიკაცია, რომ უნდა დაეხმარო უანგაროდ. იქ ყოველთვის ამას აკეთებენ. მოხალისეობის 100 საათი მე უანგაროდ გავაკეთე და ასე მგონია, რომ ეს დამეხმარა გამეანალიზებინა რას ნიშნავს ადამიანების

დახმარება.
„ფლექს“ პროგრამა ამით არ სრულდება. დღემდე, ყოველ კვირას ვიღებ ახალ წერილებს, ახალ დავალებებს შესასრულებლად. „ფლექსის“, მეგობრებიც ვგეგმავთ სხვადასხვა აქტივობებს ჩვენს ქალაქებში და ვუზიარებთ მათ ჩვენს

გამოცდილებებს.
„ფლექს“ პროგრამაზე პრეზენტაციები ჩავატარე, ვგეგმავ სხვა სკოლებიც მოვიცვა და პროგრამის შესახებ მეტი ინფორმაცია გავაცნო მოსწავლეებს. სურვილი მაქვს საზღვრისპირა სოფლებში ჩავიდე და მოსწავლეებს დავეხმარო ინგლისური ენის განვითარებაში და მივცე მოტივაცია „ფლექსის“ პროგრამაში მონაწილეობის.

- შენი თავისუფალი დრო, როგორ განაგრავ მას?
ძალიან მიყვარს მეგობრებთან დროის გატარება. აქტიუარდ ვთამაშობთ ინტელექტუალურ თამაშებს, ვუყურებთ ფილმებს. მიყვარს მათთან ერთად ხატვა, სხვადასხვა აქტუალური საკითხების განხილვა. ხშირად ვსაუბრობთ პოლიტიკაზე და განვიხილავთ სხვადასხვა მოვლენებს. ეს არის ჩემი გართობის საშუალება...

მარიამმა ამ ზაფხულს ეროვნული გამოცდები ჩააბარა. დამსახურებულ წარმატებასაც ელის. საუბრის დასასრულს მარიამი სკოლის მოსწავლეებს, თანატოლებს აცნობს, რომ „ფლექს“ პროგრამა დაიწყო აგვისტოში 2007 და 2009 წლამდე დაბადებული მოსწავლეებისათვის. მათ ურჩევს პროგრამის ფარგლებში მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, მიიღონ მონაწილეობა. ფიქრობს და დარწმუნებულია, რომ „ფლექსის“ პროგრამა მართლაც ძალიან ეხმარება მოსწავლეს პიროვნულ ზრდასა და განვითარებაში.
- მარიამ, გისურვებთ წარმატებებს!
- მადლობა!



თეა ახალკაცი

- ჩოგბურთი -

მსოფლიო ჩემპიონები - ხაშურის ტურნირში

ნებისმიერი ტურნირი (არ აქვს მნიშვნელობა სპორტის რა სახეობაში ტარდება), პირველ რიგში, მასში მონაწილეთა ავტორიტეტით, რეიტინგით და სიმღიერით ფასდება. სახელიანი სპორტსმენების მასში მონაწილეობა ერთიორად ზრდის ტურნირის პრესტიჟს და რეზონანსის თამასაც ამის მიხედვით იწვევს დაბლა თუ მაღლა. ხოლო თუ ასპარეზობაში მსოფლიო ჩემპიონიც იღებს მონაწილეობას, ეს უკვე საყოველთაო ყურადღების საგანი ხდება.

ამ დღეებში, ხაშურში ჩატარებული მოყვარულ ჩოგბურთელთა ტურნირი ალბათ არც მიიქცევა ყურადღებას, რომ არა ფაქტი - მასში მსოფლიოს ორი ჩემპიონი მონაწილეობდა. მოქმედი და ყოფილი - მართლაც დიდი სახელის ჩემპიონები - ლუკა მაისურაძე და ზაზა აბრამაშვილი.



მართალია ჩოგბურთი, ასე ვთქვათ, სულაც არ არის მათი „მშობლიური“ სახეობა, ლუკა მიუდღოსტია, ზაზა კი - ბატუტზე მხტომელი, მაგრამ თავისი გამოსვლით კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ დიდი სპორტსმენები თავის სიდიადეს ნებისმიერ სფეროში ამტკიცებენ. დიას, მათმა მონაწილეობამ ხაშურის ტურნირს მეტი ელფერი შესძინა. ამას თუ დავუმატებთ, რომ ტურნირის მთავარი მსაჯი სპორტის დამსახურებულ იოსტატი მარინა ელარდაშვილი გახლდათ, რომლის საგვარეულო დინასტიის გარეშე,

უბრალოდ, წარმოუდგენელია საქართველოში ჩოგბურთის განვითარების ისტორიაზე საუბარი, თავისთავად ცხადი ხდება, რომ ხაშურის მოყვარულ ჩოგბურთელთა ტურნირი, ასე ვთქვათ, „რიგით რანგს“ ბევრად გასცდა.

ტურნირის ორგანიზატორი ხაშურის სასპორტო სკოლა იყო. ჩოგბურთის მსგავსი ტურნირები სპონსორის გარეშე წარმოუდგენელია და სასიხარულოა, რომ ამ ტურნირსაც გამომოუწონდა სპონსორი ბიზნესმენ ალექსანდრე ალბრეხტის სახით. სხვათაშორის, ბატონი ალექსანდრესაგან ეს არ იყო ჩოგბურთისადმი „ერთჯერადი“ გვერდში დგომა, იგი, ზოგადად, ხაშურის სპორტის დიდი ქომაგია და მუდამ ცდილობს ხაშურელი სპორტსმენების დახმარებას.



რაც შეეხება ტურნირს, იგი მართლაც საინტერესოდ წარიმართა. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში ვაკო ციციშვილმა ზაზა აბრამაშვილი დაამარცხა - 6:4, 6:4. ფინალში კი „ლიბერთი ბანკის“ მმართველი გივი სამხარაძე ლუკა მაისურაძეს დაუპირისპირდა. ლუკამ სამივე სეტში იმარჯვა (6:3, 7:5, 6:4) და ხაშურის ტურნირის პირველი ჩემპიონი გახდა. ასე, რომ მსოფლიო ჩემპიონმა თავისი სიმღიერე ჩოგბურთშიც დაამტკიცა.

იმედია, აღნიშნული ტურნირი ტრადიციად იქცევა და მომავალში კიდევ უფრო ფართო მასშტაბებს შეიძენს.

გ. გოგოლაძე

ა(ა)პ საშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „საშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგოლაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.